2-11724/19
24-06-2019

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს კანონის პროექტები: „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-2/355; 29.05.2019).

საკანონმდებლო პაკეტზე წამყვანი კომიტეტია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. ხოლო სავალდებულო კომიტეტებია: ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.

სავალდებულო კომიტეტისთვის საკანონმდებლო პაკეტის განხილვის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2019 წლის 24 ივნისი.

გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა 2019 წლის 24 ივნისს მოგვმართა თხოვნით (წერილი - N2-11719/19), რომ საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებული დამატებითი კონსულტაციების გამართვის მიზნით, საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადა გაგრძელდეს.

გთხოვთ, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადა გაგვიგრძელოთ 30 დღით.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი

2-11719/19
24-06-2019

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ ანრი ოხანაშვილს

ბატონო ანრი,

2019 წლის 3 ივნისს საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს განხილვისთვის გადმოეცა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტები: „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07- 2/355; 29.05.2019).

საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებული დამატებითი კონსულტაციების გამართვის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მიმართოთ პარლამენტის ბიუროს საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადის გაგრძელების თაობაზე.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
თამარ ხულორდავა